ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 21

სხდომის ჩატარების დრო:

26 ივლისი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21-ე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ,ბიბილეიშვილი, თ.მესხი, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან - 28 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 7 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: დ.ერემეიშვილი, ი.უგულავა და ქალბატონი მ.დახუნდარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2023 წლის 26 ივლისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(გადანაცვლებულ იქნა დღის წესრიგის მე-4 და მე-5 საკითხები),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21-ე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალბატონი მაგდა კოსტავა
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული
თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ბაქარ მახარაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
თავმჯდომარე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37, სადგური ქუთაისი II-ის მიმდებარე ტერიტორია) გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული არქივისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს 21-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21-ე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მაგდა კოსტავამ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „საზოგადოების გარკვეულ ნაწილს აქვს ამ საბჭოში გაერთიანების სურვილი. გამომდინარე აქედან, აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდას. ასევე, ემატება მოადგილეების არჩევის წესი, რომელიც აქამდე ამ დებულებაში არ იყო კარგად ჩამოყალიბებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, **მაგდა კოსტავას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილება №71 ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ.**

აზრი გამოთქვეს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „მინდა მადლობა ვუთხრა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ხელმძღვანელს, მის თანაშემწეებს, რომლებიც აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობენ. მანამ, სანამ საკითხები ჩვენამდე მოვა, კომისიას ყველაფერი დეტალურად აქვს განხილული და ამისთვის მათ დიდი მადლობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ამ ბოლო დროს, საკრებულოს კომისიებში სისტემატურად დაიწყო სამსახურების ანგარიშების მოსმენა, სადაც ბევრ საკითხზე მიდის მსჯელობა. ჩემი აზრით, უფრო ეფექტური იქნება არა მარტო ანგარიშების და პრობლემების მოსმენა, არამედ, ჩაინიშნოს შეხვედრები და მოვისმინოთ რამდენად მოხდა იმ შენიშვნების გათვალისწინება, რომლებიც გაისმის როგორც ოპოზიციის, ასევე, სხვების მხრიდანაც. იყო თუ არა ჩვენგან მხარდაჭერა საჭირო. კარგი იქნება ამ ანგარიშების მოსმენის შემდეგ მონიტორინგის კუთხით შეხვედრა სამსახურებთან, ვიცე მერებთან. გუშინ, ბატონი იუზაც იყო ჩართული ამ მოსმენებში, ბევრი საკითხია განსახილველი და შემდგომშიც მივაქციოთ ყურადღება კომისიურ დონეზე როგორ და რა ღონისძიებები დაისახა იმ წინადადებებისა და პრობლემების რეალიზაციის მიზნით, რომლებზეც ჩვენ მოსმენების დროს ვსაუბრობდით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენ და თქვენც აქტიურად ვმონაწილეობდით პროცესებში, როდესაც დგებოდა „USAID-ის“ სამუშაო დოკუმენტი, რომლის საბოლოო ვერსიაც უკვე გვაქვს. უნდა აღვნიშნო ამ კომისიის თანამშრომლობა და რეალურად ახალი შესაძლებლობა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის. აქვე, მინდა დაგიდასტუროთ, რომ დეპუტატების მიერ გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება, რომელიც მის მიერ იქნება გამოთქმული სხდომის მიმდინარეობის დროს, გადაეგზავნება აღმასრულებელ ორგანოს საოქმო ჩანაწერის სახით. შემდეგ, უკვე კომისიურ ფორმატში გვექნება განხილვა რა მოსაზრებას ან დეპუტატის რომელ ინიციატივას რა რეაგირება მოჰყვა. ოპტიმალური

გადაწყვეტილება იქნება, არ დაიკარგოს დეპუტატის მოსაზრება, მივიდეს ადრესატამდე დოკუმენტის და საოქმო ჩანაწერის სახით და მეორეს მხრივ, ჩვენ გვქონდეს აღნიშნული საკითხების გარკვეული რეესტრი, რომელზეც მოვახდენთ რეაგირებას და ვიმსჯელებთ შესაბამისი კომისიების ფორმატში. ეს იქნება საშუალება აღმასრულებელ ხელისუფლებასთან არსებული ურთიერთობების გაძლიერების. რაც შეეხება კომისიას, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ პრეცენდენტულია ის, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისია და აღმასრულებელი მუშაობს სხვადასხვა არასამთავრობო სექტორთან და მათ შორისაა „ფინანსისტთა ასოციაცია“, რომელიც საკრებულოს კომისიების ჩართულობას გულისხმობს მუშა დოკუმენტის, ბიუჯეტის შემუშავების პროცესში და პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების ნაწილშიც კი. ეს კომისია თავისი სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით გააძლიერებს ეფექტურობას იგივე ზედამხედველობის ნაწილში. ამას მოჰყვება სხვა კომისიების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. მადლობა ბატონ ბექას და კომისიის თითოეულ წევრს ჩართულობისთვის. მადლობა ოპოზიციურ ნაწილს, რომ აქტიურად იღებთ მონაწილეობას კომისიების მუშაობაში, გაქვთ შენიშვნები. ამ კომისიამ თავისი მუშაობის ფარგლებში, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. განვმეორდები და ვიტყვი, რომ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მოგვცემს საშუალებას, რომ კიდევ უფრო ეფექტური იყოს კომისიის მუშაობა.“

ზემოაღნიშნული ანგარიშის შესახებ **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება № 210** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **განკარგულება № 211** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37, სადგური ქუთაისი II-ის მიმდებარე ტერიტორია) გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი 2023 წლის 26 ივლისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის სათაურში სიტყვა: „ქონების“ შემდეგ, ფრჩხილებში ჩაემატა ქონების მისამართი; განკარგულების პროექტის პრეამბულაში კი - მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 ივლისის **№ 112 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37, სადგური ქუთაისი II-ის მიმდებარე ტერიტორია) გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება № 112** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **განკარგულება №213** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული არქივისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი 2023 წლის 26 ივლისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში**

ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 ივლისის **№ 114 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული არქივისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №114** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი 2023 წლის 26 ივლისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის პირველი მუხლიდან სიტყვების: „საკუთრებაში არსებული“ შემდეგ, ამოღებულ იქნა სიტყვა: „კერძოდ“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ნადირაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 ივლისის **№115 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №115** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ სხვადასხვა საკითხების თაობაზე დაისვა შეკითვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „მოხდა თუ არა სტიქიით დაზარალებული ხალხის ზარალის დათვლა და რას აპირებთ? ჩემი ინფორმაციით, იმ დღესვე შემოსული იყო 50-ზე მეტი განცხადება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იუზა უგულავა**: „ზარალი დათვლილია, რომელმაც შეადგინა 5 მილიონი ლარი. წერილი გაგზავნილია სახელმწიფო კანცელარიაში, ორშაბათს ან სამშაბათს გვექნება გადაწყვეტილება და გაგაცნობთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს ეხება ინფრასტრუქტურის დაზიანებულ ნაწილს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თედო მესხი:** „პრევენციისთვის რა ზომებს ვატარებთ? ვინაიდან, წვიმა ისევ იქნება, შესაძლებელია, სანიაღვრე სისტემამ ისევ ვერ გაატაროს ნალექი. ნახევარი ქალაქი ვენეციად იყო ქცეული და რას ვაკეთებთ მომავალში ამის აღმოსაფხვრელად. ბუხაიძის ქუჩაზე დღესაც საშინელი მდგომარეობაა. წვიმის დროს ჩამოსული ტალახის მასა გზებზეა. ოღასკურას მიმდებარედ ჯებირებიცაა დაზიანებული და რას აპირებთ მომავალში?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბატონი **დავით ერემეიშვილი:** „თქვენ თუ შეგიძლიათ წინასწარ გვითხრათ რა მოცულობის ნალექი მოვა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „მაშინ გვითხარით რა მოცულობის ნალექის გატარება შეუძლია ქუთაისის სანიაღვრე სისტემას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „ავტოქარხანაში, ზუსტად რომ გითხრათ, პარლამენტის მიმდებარედ, სადაც ცხოვრობენ იძულებით გადაადგილებული პირები, გაედინება არხი. წლებია ადგილობრივები ითხოვენ ამ არხის გაწმენდას. თუ იგეგმება რამე ამ მიმართულებით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია ოღასკურას არხი. 1 800 ათასი ლარია მის მოსაწესრიგებლად საჭირო. სკოლამდე უკვე გაწმენდილია. 280 ათასი ლარი დაჭირდება ბატონო დიტო, ამ არხის გაწმენდას. ახალი გვირაბი არის გასაყვანი და 600 მეტრი გასასუფთავებელი. მეორე თემაა მუსხელიშვილის ქუჩისა და მესხიშვილის ქუჩის გაგრძელება. ეს დაჯდება 1 500 ათასი ლარი. დაახლოებით, 30 კედელია ჩამოშლილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“): „გუმათის დასახლებაში არის ღვარსადენი, რომელიც მოსახლეობამ ადრე ალაგ-ალაგ თვითნებურად გადაკეტა. დღეს ეს უკვე ქმნის სერიოზულ პრობლემას. პასუხს ვეღარ ვაგებინებთ, მაგრამ გადაკეტილი ადგილების მოშლა კი არის შესაძლებელი. წვიმის დროს საშინელი სტიქია დატრიალდა, მართალია მოსახლეობის ბრალია, მაგრამ მოსაგვარებელია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „არხს ვასუფთავებდით, ახლაც დავასუფთავებთ და გავხსნით გადაკეტილ ადგილებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თედო მესხი:** „ძალიან ბევრი კერძო სახლები დაიტბორა. პირველ სართულებზე წყლის სიმაღლემ ზოგან 50 სანტიმეტრს მიაღწია. ზარალის შესწავლის შემდეგ ამ ოჯახებს მისცეს 250 ლარი, როცა

მთელი სართული მოესპოთ. იმ ზარალის აღმოფხვრას 250 ლარი არანაირად არ ეყოფა. უახლოეს დღეებში აღნიშნულთან დაკავშირებით რამე ცვლილება ხომ არ იგეგმება, რომ უფრო რეალური თანხით დავეხმაროთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „სტიქიის გამო დაზარალებული მოსახლეობისათვის თანხა მერიიდან არ გაგვიცია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „აქ საუბარია საიდან მიიღო ეს თანხა ამ ოჯახებმა. ეს გაცემული თანხა არ შეიძლება ჩაითვალოს სტიქიისგან მიღებული ზარალის ასანაზღაურებელ გაცემულ თანხად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21-ე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრების, მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისა და სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, კითხვა-პასუხის დასრულების გამო, საკრებულოს 21-ე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21-ე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

Irakli Shengelia

Digitally signed by Irakli Shengelia
DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE
Date: 2024.06.18 11:41:41 +04'00'

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.